

**პალრაპი**  
**პირველი სენსაცი**  
შვიდობის ქალაქ სკარაში დაიწყო ევროპის ქვეყნების მოქალაქე ვაჟთა გუნდური პირველობა. სტარტზე გამოვიდნენ სსრ კავშირის, უნგრეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, შვეიცარიისა და ისრაელის გუნდები. თითოეულ კოლექტივში 8 მოჭადრაკეა.  
I ტურში პირველი სენსაცია მოხდა. ინგლისელებთან შეხვე-

დრა საბჭოთა ნაკრებმა ყაიმით (4:4) დაამთავრა. პარტიები მოიგეს რ. ვაპინანმა და გ. კასპაროვმა, დამარცხდნენ მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი ე. მილსთან და ლ. პოლუგაევიცს — ჯ. ნანთან. ოთხი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.  
II ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვედნენ ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრეთის გუნდს. ყველა რვა პარტია ყაიმით დასრულდა.  
ამრიგად, დაწინაურდნენ იუ-

გოსლავიელები — 8,5 ქულა და სპი გილაღბული პარტია. საბჭოთა ნაკრები ლიდერებს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. შემდეგ არიან ისრაელი — 7,5 (3), ბულგარეთი — 7,5 (1), უნგრეთი — 7 (1), შვეიცია — 6,5 (4), ინგლისი — 6,5 (1), ჩეხოსლოვაკია — 4,5 (3).  
გთავაზობთ I და II ტურებში სხვა მატჩების შედეგებს: I ტური. იუგოსლავია — ბულგარეთი 5:3, ისრაელი — ჩეხოსლოვაკია 5:3, შვეიცია — უნგრეთი 4:3 (1);

II ტური. ბულგარეთი — ინგლისი 4,5:2,5 (1), იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 3,5:1,5 (3), შვეიცია — ისრაელი 2,5:2,5 (3).  
**გამარჯვება პარაპაში**  
პარაპაში ჩატარდა მოსკოვისა და პოლონეთის დედაქალაქის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი 8 დაფაზე. მეტოქენ ერთმანეთს სამ-სამჯერ შეხვდნენ. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 16:8.

**ჭაპუკი მსაჯუკი და პიუ**  
24 იანვარს რიგაში სტარტს აიღებს სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატი ვაჟთა შორის. მონაწილეები იქნებიან ტრადიციულად ჩემპიონატში მუდამ მონაწილე ინგლისელები და რუმინელები.  
შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ შარშანდელი ჩემპიონი ოსტატი ლ. ფსახისი (რუსსრ), ეიცი-ჩემპიონი საერთაშორისო

პროლეტარებო ყველა მკვიდრს, შეერთდით!



**№ 15**  
**22**  
**1980 წ.**  
**იანვარი,**  
**სამუშაბათი.**  
**ფანი 3 კაპ.**  
**გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან**

საპარტიო ლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

**ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов



**კავკაზი**  
**ქვეყნის**  
**შეშენება**

საქართველოს საბჭოთა სპორტისა და ფიზკულტურის კომიტეტი

გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს — ღირსეული შეხვედრა

# ჩვენს სადღეისო ამოცანა

ასტროლოგებმა პროლეტარიატის დიდი ბელადის გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახებ დაიწყეს განხილვა მთელი პროგრესული კაცობრიობა.  
საბჭოთა ხალხმა 1980 წელი გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით დაიწყო. წარმოებდა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ახალი ტემპით გაჩაღდა მუშაობა X სუფილის დასახარული ახალი ტემპით შეხვედრებში. „ვლადიმერ ილიჩის 110-ე წლისთავის შესახებ“ სპეციალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც ერთი სხვა წინ გამოქვეყნდა პრესაში, თვალნათლივანა გაანალიზებული საბჭოთა მთავრობის ლენინური კურსი, გზა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ პირველი სუფილიდან დაღმდეგ ვაიარა. „პარტიისა და ხალხის მთელი საქმიანობა, — ნათქვამია დადგენილებაში,

— მიზნად ისახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განმტკიცებას, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, მოქალაქეთა აღზრდას კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით“. საბჭოთა ხალხის თავდადებული მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოპოვებული კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.  
სახსიარულოა, რომ ამ შრომით ფერხულს არც ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელები და სპორტსმენები ჩამორჩებიან. საბჭოთა სპორტსმენებმა ბოლო წლებში სპორტსმენების სარბიელზე არაერთი სასახელი გამარჯვება მოიპოვეს. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც.  
ახალი, 1980 წელი უფრო გავრდილ მოთხოვნებს უყენებს

რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებს. ამ დღეებში საქართველოს სპორტკომიტეტმა მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილება „გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მარქსისტულ-ლენინური პრინციპებიდან გამომდინარე, საბჭოთა ქვეყანაში ყველა პირობა შექმნილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დაწესებისთვის, ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის აღზრდისთვის. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის საერთო-სახალხო საქმედ დადგენილების კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის პასუხად, მიმდინარე ოლიმპიურ წელიწადს ახალი შრომითი შემართებით უნდა შეხვედნენ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები.

შემუშავებულია გ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის მიძღვნილი დონხმეების გეგმა. საოლქო, საქალაქო და რაიონულ სპორტკომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელებს დავალებით მოაწიონ საზეიმო კრებები, ჩაატარონ ლექციები, საუბრები გ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოაწიონ ტურისტული ლაშქრობები, ფოტოხტენდები, აქტური მონაწილეობა მიიღონ ამ თარიღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში, ლენინურ შაბათობაში და სხვა.  
ეკვარეშეა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების სპორტსმენები ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ახალი წარმატებებით შეხვდებიან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად წარმატებით დაიკავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებზე.

ოსტატი გ. ზაიჩიკი (თბილისი) და სხვები.  
მიწვეულნი არიან ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი დილოსტატი მ. ნიბურდანიძე და ევროპის ვიცე-ჩემპიონი ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი.  
მოჭადრაკე ვაჟთა ამ ფორუმში ჩიბურდანიძე პირველად შარშან მონაწილეობდა და დიდად კმაყოფილი დარჩა, თუმცა წარმატება არ მოუპოვებია. ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრები მისთვის საუცხოო ვარჯიში იყო. წლებსაც მიაღი დიდი ხალისით ებმება შეჯიბრებაში.  
ახალიწარმოშობის ჩემპიონატის დებიუტანტი იქნება მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი არ იცნობს მომავალ მეტოქეებს. ბევრ მათგანს სხვა შეჯიბრებაში შეხვედრია.  
ჩემპიონატი 15 თებერვლამდე გასტანს.

**ჩოგბურთი**  
**მინიალური ანგარიშით**  
მოსკოვში გაიმართა ევროპის ზამთრის გუნდური ჩემპიონატის — „სამეფო თასის“ საბასულო შეხვედრა სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრებ კოლექტივებს შორის. ჩვენი ჩოგბურთელები დამარცხდნენ მინიალური ანგარიშით — 1:2.  
ჩველაზე სანტიკრიგო და დაბალი იყო გადამ ბორისოვისა და რობერტ მახანის ორთაბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვა საბჭოთა ოსტატმა — 6:3, 6:4. მანაი მედიკი შანლორ ბენიკმა სძლია ალექსანდრე ზეიგერს — 6:4, 6:7, 6:3.  
ჩველაფრის წყვილთა შეხვედრამ გადამწვიკა. თეიმურაზ კაკულია და ბორისოვი დამარცხდნენ მახანთან და პეტრე სეკსთან — 6:3, 6:7, 6:7.  
საბჭოთა ნაკრებს ახლა II ადგილისთვის ავსტრიელებთან მოუწევს ბრძოლა, ამასთან მეტოქის მოედანზე. ეს არ არის იოლი საქმე, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ავსტრიელებმა რეიმსში დაამარცხეს საფრანგეთის ნაკრები — 2:1.  
მთლიანდროლობათა კატეგორიას მიაკუთვნებენ ნიუ-კასლში გერმანიის ნაკრების დამარცხებას ინგლისელებთან — 1:2. ამ ქვეყნის სხვა მატჩში „სამეფო თასის“ მფლობელი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები აშკარად ძლიერი იყო შვეიცარიის გუნდზე — 3:0.

**ჩოგბურთი**  
მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების საქმეში გავლენილი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აგრეთვე „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდების დებულების მოთხოვნათა შესრულებისთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის“ წოდება მიანიჭა თამაზ პარმენის ძე ლეიშვილს (თბილისი, „სპარტაკი“, ტყეის სროლა).



25-27 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ტრადიციული, რიგით XIX საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა მ. ნოზაძემ რამდენიმე შეკითხვით მიმართა თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს, მსოფლიო ორგანოს ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გურამ სულბერიძეს, რომელიც ერთი თვეა, რაც რესპუბლიკის თავისუფალი ჭიდაობის მოჭიდავეთა ნაკრებს ჩაუდგა სათავეში — მოგვევლინა უფროსი მწვრთნელის როლი. ახლანდელი ტურნირი ფაქტობრივად ხადარად — მწვრთნელის დებიუტია დიდ ხალხაზე, რომელიც ის, ჭიდაობის დიდოსტატი, 12 წლის წინათ გამოეთხოვა...  
● ხომ არ გვიამბობდით ამ ტურნირების მოკლე ისტორიას?  
— სიამოვნებით: თბილისის სპორტის სასახლეში სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მოჭიდავეებს

თავის თაღებზე პირველად 1962 წელს მოუყარა თავი. მონაწილეთა შორის იყვნენ ისეთი შესანიშნავი ფალანგები, როგორიც არიან ვლადიმერ რუბინი, ზარბეგ ბერიაშვილი, შოთა ლომიძე, ზურა შეყრილაძე, აილინ იბრაგიმოვი, აბელ ახანოვი, ალექსანდრე ივანიკი. სწორედ ისინი გახდნენ თბილისის ტურნირის პირველი ლაურეატები. მონაწილე ვარ, რომ მათ რიცხვში მეც ვიყავი — ქვესაშუალო წონაში

შეილს, ირანელებს მოვახდინა და სეიფურის, ბიუტენისა და შტრამისტერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ამერიკელებს პეტერსონსა და პელესონს... ამასთან, უნდა აღინიშნოს ამ შეჯიბრების ორგანიზატორის მაღალი დონეც, რამაც დიდად განაპირობა მისი შეტანა ფილას (სამოყვარულო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) კალენდარში.

## ვილას დროის ქვეშ...

„ლელოს“ ინტერვიუ  
● წლებადელი წელი ოლიმპიურია. ბუნებრივია, ეს გარემოება საგრძნობლად ზრდის თბილისის ტურნირის მნიშვნელობას...  
— ყველა ტურნირი, ყველა შეხვედრა, თუ გნებავთ, ყოველი ვარჯიში ახლა მოსკოვის დიდი სტარტისთვის მზადებისა და მზადყოფნის თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ცხადია, მხოლოდ ასე უდგებიან საქართველოს დედაქალაქის ხალხი მზადებას პაქობას ამ ტურნირში მონაწილეობის — თურქები და ამერიკელები, მონგოლები და კუბელები, ბულგარელები და უნგრელები, პოლონელები, რუმინელები, ირანელები და, ცხადია, საბჭოთა ნაკრების წევრები.  
● თბილისში ქვეყნის ნაკრები, ალბათ, უმღიერები შემადგენლობით გამოვა...  
(დასასრული მე-3 გვ.)



ასმა ნორჩმა სამთომოთხილამურემა უარი თქვა ბაკურიანში წასვლაზე და გაემგზავრა თელავში, სადაც ჩატარდა შეჯიბრებები სლალომსა და გიგანტურ სლალომში. თელავი თითქოს ყველაზე ნაკლებად ინვესტირებულია და თხილამურების ასოციაციას, მაგრამ აქ საფუძველი ჩაეყარა სამთო-სათხილამურო სპორტის ახალ ცენტრს. ბავშვებს არუქეს თოვლითა და მზით სავსე, ბრწყინვალე ტრასისა და საბაგირო გზის მქონე მთა. მოგითხრობთ ამ საჩუქრის ისტორიას:

იმ დღეს 70 წლის თელაველი ვანო გრიშკაშვილი ფეხით წავიდა ცივის მთაზე, რათა საკუთარი თვალთი ენახა საბაგირო გზა და ბავშვები. პიჯაკის გულის ჯიბეში ვანოს 30-იან წლებში გადაღებული რამდენიმე ფოტოსურათი ედო. მაშინ მას, ახალგაზრდა ფიზკულტურის მასწავლებელს, ცივზე დაჰყავდა თელაველი ბიჭუნები თხილამურებზე სასრიალოდ. ახლა იგი მიიჩქაროდა ერთი ადამიანის სანახავად, რათა ფოტოსურათები ეჩვენებინა და ეთქვა, რომ მანამდეც ჰქონოდათ ასეთი იდეა — სამთომოთხილამურები კახეთში — მაგრამ იმ წლებში მისი განხორციელება ვერ შეძლეს.

ბავშვები პუპლებით „დაფრინავდნენ“ მთაზე და ის, რომ ისინი ძალზე უშიშარნი იყვნენ, თითქოს სასწაული იყო. მაგრამ ასეც უნდა იყოს, გაიფიქრა მასწავლებელმა, — ადამიანმა ყმანვილობიდანვე უნდა უშიშრად იცხოვროს და ამისი უფროსები უნდა დაეხმარონ.

პირდაპირ გრიშკაშვილისკენ მოფრინავდა მწვანეგეტრიბიანი ბიჭუნა. მან ღრმა ვირაჟი გააკეთა და ადგილზე გაიყინა კორესპონდენტის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად:

იგი თელავიდანაა, პაატა ანდრონიკაშვილს ეძახიან, 6 წლისაა, თხილამურებზე სულ ახლახან შედგა.

— ვინ გასწავლა?  
— ცოტა ჩემმა ძმამ და ძალიან ბევრი მია თამაზმა...


სწორედ თამაზ ანთაძეს, „ალპანშენის“ № 1 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს ეძებდა გრიშკაშვილი. ქალაქში ლაპარაკობდნენ, რომ სწორედ მას მოუვიდა აზრად საბაგიროს ეს ახირებული იდეა და გრიშკაშვილს უნდოდა მასთან ესაუბრა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როცა მოძებნა ანთაძე, უბრალოდ ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა, იმის გამო, რომ დაძლია ასეთი რთული საქმე. შემდეგ თავისი ფოტოსურათები აჩვენა. გახუნებულ სურათებზე დაკვირვებულმა თელავმა შენიშნა მსხვილ, მოუხერხებელ კოსტიუმებში გამოწყობილი მოღიბარე ჭაბუკები, რომლებიც თვითნაკეთ თხილამურებზე იდგნენ და ხელთ ასა-

ნთის ღერობივით წვრილი ბამბუკის ფოხები ეპყრათ...

მომენტი საზეიმო იყო და ცოტა ნალვლიანიც. თამაზმა წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანიდან“ შესაფერისი სტრიქონები. შემდეგ გრიშკაშვილმა და ანთაძემ სამახსოვრო სურათი გადაიღეს. ვილაცამ ფოტოკორესპონდენტს დაუძახა: — კარგად გააკეთე შენი საქმე, რომ ფოტოები არ გახუნდეს!

დაიხ, ამ მოვლენის დასამახსოვრებელი საბუთი უნდა დარჩეს. ენთუზიასტების ჯგუფმა პარტიის თელავის რაიკომის მხარდაჭერით ცარიელ ადგილას შექმნა სამთოსათხილამურო სპორტის ბაზა.

ეს ისტორია კი რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, როცა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა თ. ანთაძემ, წარსულში თბილისის „ბერვესტნიკის“ და ქვეყნის ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანმა თავი მიანება აქტიურ სპორტს და ინჟინერ-მშენებლის პროფესიით განაგრძო მუშაობა. იგი თელავში ჩავიდა და ბინა დაიდო ზუზუმბოს მთის ძირას მდებარე დასახლებაში, საიდანაც, გინდოდა არ გინდოდა, ცივის მთისთვის უნდა გეცქირა.



# როგორ არუქეს ბავშვებს მთა

— ვუყურებდი მთას თებერვალში, მარტში, აპრილში, — ამბობს თამაზი — იქ ყოველთვის იდო თოვლი. ჩავიხედე ცნობარებში: სიმალე — 2000 მეტრამდე, მოვიძიე რამდენიმე ათეული წლების მეტეოროლოგიური ცნობები — ცივი მუდამ მდიდარი ყოფილა თოვლით. ჩვეულებრივ იგი მარტის ბოლომდე და უფრო მეტხანს დევს. მაშ, რაშია საქმე? — გავიფიქრე ჩემთვის — თუ მთაცაა და თოვლიც...

1974 წლის 2 მარტს იგი თხილამურებით ავიდა ცივზე. იქიდან 20 წუთში ჩამოსრილადა თავის სახლთან. ბრწყინვალე ტრასაა. მისი ერთი ნახევარი ალბურ ზონაში გადის, მეორე კი საუკუნოვან ნიფლის ტყეს გადაკვეთს. შეიძლება მოწყონს სხვადასხვა სირთულის სამი დასაშვები: ერთი მიიყვანს ზუზუმბოს ძირას, მეორე — ტურბაზასთან, მესამე — მამიას სახლამდე... არის ზემოთ გზის გაყვანის შესაძლებლობაც — თელავის-ხევის ხეობით...

და გაჩნდა ორი საქაღალდე, რომლებიც რამდენიმე თვეში გაიყოს ამ იდეის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციით. მაშინ კი თამაზ ანთაძე ერთერთი მათგანით ხელში მიადგა უცხოეთის ტურიზმის რე-

სპუბლიკურ სამმართველოს და განაცხადა:

— ზამთრობით სასტუმრო „კახეთი“ (ცარიელია, დაგვენმარეთ „საბაგიროს“ შოვნაში და მისი არარეგულაციური სამსახურიც გადაჭრილი იქნება...

მეორე საქაღალდე მან აჩვენა პარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს ა. კობაიძეს, რომელმაც საქმის გაცნობის შემდეგ უბრალოდ თქვა: — უნდა ავაშენოთ!

და მშენებლობა დაიწყო.

თამაზ ანთაძემ ბევრი გვარი დაასახელა და მთხოვა გამოექვეყნებინა ყველა: „ამ ადამიანების გარეშე, ვერაფერს ვაკვირებდით“. ცხადია, ვერ ჩამოვთვი ყველას სახელს, რომელთაც უნდა ვუმაღლოდეთ ამ იდეის რეალურად გადამცემა, მაგრამ აუცილებელია რამდენიმე სიტყვა ითქვას ერთსულელებსა და ამხანაგობაზე.

ტრესტმა „ალპანშენმა“ (მმართველი მ. ჯილაური) შეფობა აიღო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სამთო სახეობების რესპუბლიკურ სკოლაზე. რამდენიმე წლის განმავლობაში, აწყობისა და დამონტაჟების მოლოდინში, ბაკურიანში უანგებოდა ჩეხოსლოვაკური საბაგირო გზის მოწყობილობა.

სკოლის დირექტორის ზურაბ მაისურაძის, მასწავლებლებისა და მწვრთნელების მონდობებით ეს საბაგირო გადაეცა ტრესტს. № 1 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. ელიზბარაშვილი) გამოჰყო ტექნიკა და მუშახელი. რაიონის საგზაო-სარემონტო უბნის უფროსი ტ. ხოსროშვილი მშენებლებს ტრაქტორით დაეხმარა. დოსაფის ადგილობრივი კომიტეტის ხელმძღვანელობა (ჯ. ჩუაძე) — ავტომანქანებით, თელავის სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში (დირექტორი ტ. სულხანიშვილი, წარმოების უფროსი მ. მარგალიტაშვილი) ამზადდებდნენ დეფიციტურ დეტალებს, აშენებდნენ საცხოვრებელ ვაკონებს. რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ნ. დვალმა თავის თავზე აიღო კონსტრუქციის და მზადების ხელმძღვანელობა. სამუშაოთა მწარმოებელმა დ. ომსარაშვილმა, ბულდოზერისტმა გახუტაშვილმა, მუშა გ. ბაჩიაშვილმა, მძღოლებმა მ. აბრამიშვილმა, ს. პაპუნაშვილმა, ო. იკორაშვილმა დაივიწყეს საერთოდ თუ არსებობდა დასვენების დღე და „ახირებული იდეის“ ავტორს გვერდში ამოუდგნენ.

შევუღებოთ თელავში ჩამოვიდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს საბაგირო გზებისა და ფუნქციონირის სამსახურის უფროსი ბადრი გოგოძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა ელექტრომონოპოლიობათა მონტაჟს. შევუღებოთ დრო არ ეყო მის დამთავრებას და იგი ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა. გოგოძისა და მისი კოლეგების — დ. კაციანიშვილისა და ე. შაკაშვილის მხრებზე გადაიარა გასასწავლი სამუშაოების მთელმა სიმძიმემ. თავისუფალ დღეებში მშენებლობაზე მუშაობდნენ თბილისელი არქიტექტორები და მეცნიერ-მუშაკები ლ. ლორთქიფანიძე, ვ. მიქელაძე, ვ. მალაოვიჩიკო, კ. სლოვისკი, ა. მიქელაძე, გ. ჭიჭინაძე...

გმონი მაინც საკმაოდ დავასახელე გვარები. მაგრამ რაც უნდა ბევრი იყვნენ ისინი, დაე ყველა დარჩეს ამ რემორტაჟში, რამდენადაც არც ისე ხშირია ადამიანთა ასეთი ბედნიერი, ერთი იდეით გამსჭვალული, საქმიანი თანამეგობრობა, იმიტომ, რომ მასში ვლინდება საქმისადმი უანგარო ერთგულებაზე დაფუძნებული კოლექტივის თითქმის იდეალური მოდელი. თუმცა, „ანგარება“ მაინცაა.

ესენი არიან ბავშვები. ძალზე მაცდუნებელია შესაძლებლობა იმისა, რომ ნორჩებს ცივიდან დაანახო ალპინის ველი და კავკასიონის მთები, დეკემბრო მათ დაძლიონ სიმალისა და სისწრაფის შიში.

ახლა კი თვითონ ბავშვებს მივცეთ სიტყვა:

**ვევინა ვეგუჩაძე**, 8 წლის: „აქ ყველაფერი მომწონს, იმიტომ, რომ დიდი სივრცეა და არაფერ გვიშლის, ვისრიალოთ“.

**სალომე ნაკაშიძე**, 7 წლის: „ისე შევიყვარე ცივი, როგორც მიყვარდა კობტა. მაგრამ კობტაზე ძნელი ასვლა, იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი დგას რიგში...“

აი, ბავშვთა მიერ გამოთქმული პრობლემა. საქართველოს „სამთო-სათხილამურო დედაქალაქის სამი საბაგირო გზა ხან გადატვირთულია, ხან რემონტშია. ბავშვები წამებში ჩამოსრილადებიან და შემდეგ საათობით აღვან რიგში. „აქ კი — თავისუფლება“. და არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, და რაც მთავარია, უნდათ იზრუნონ ბავშვებზე.

ზრუნვა კიდევ უფრო გაიზრდება და შესაბამისად გაიზრდება გეგმებიც. თელავში უკვე ასევე ფიქრობენ საბაგირო გზის სიმძლავრის გადიდებასა და მეორე და მამონტაჟებაზე, ცივზე გააფანსადებელი ქალაქის აშენებაზე. შეკვეთილია სატვირთო საბაგირო გზის პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს 9000 პექტარნი ალპიური საძოვრისა და სათიბის ათვისებას. მთა შემობრუნდა ადამიანისაკენ თავისი მოულოდნელი მხრიდან და ეს ყველაფერი მოხდა მხიარული და კეთილი ადამიანის, მისი მეგობრებისა და თანამოაზრების წყალობით.

გონებდნენ არ ამოდის თამაზ ანთაძის სიტყვები: „თუ არის მთა და თოვლი, მაშ რა გვიშლის ხელს?“ მთებთან და თოვლით ზღაპრულად მდიდრები ვართ. სხვათა შორის, ბაკურიანში ორი წელია ვერ შეაკეთეს კობტა-2-ის საბაგირო გზის კაბელი. მესტიაშიც, როგორც მანამდე ბაკურიანში, უკვე რამდენიმე წელიწადია ვერ დამონტაჟეს საბაგირო გზა. ზემოთ აღწერილიდან ნათელია, რომ: თუ არის მთა და თოვლი, საქმე მხოლოდ ადამიანებზეა, რომლებიც მოისურვებენ და შეძლებენ გვაჩუქონ ისინი.

**თ. მამალაძე**, საქინფორმის სპეც. კორ.

სურათები: ზევით მარცხნივ — მოზარდები ვარჯიშზე მოდიან; ტრასაზე; ქვევით — მორიგაკვეთილზე. საქინფორმის ფოტოები.



## თხილამურებით ქარსა და ყინვას

ონის რაიონის სპორტმენებმა სათხილამურო ტურისტული ლაშქრობა მოაწყვეს ასეთი მარშრუტით: ონი — შოვი — მამისონის უღელტეხილი — ალაგარი — ორჯონიკიძე — ყაზბეგი — ჯვრის უღელტეხილი — ფასანა-

ური — ნატახტარი — გორი — ცხინვალი — ერწოს უღელტეხილი — ონი.

ტურისტული ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ მ. ჭაჭარაძე, კ. ოსიკინი, ზ. ორდინაძე, ვ. ჯეღაძე და ლ. რაზმაძე. ჯგუფს ხე-

ლმძღვანელობდა ა. მაისურაძე. აი, რა გვიამბო მან ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ:

— ლაშქრობა მოეწყო ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის და ალკკ ონის რაიკომის ინიციატივით, საქართველოს კკ ონ-

ის რაიკომისა და სახალხო დეპუტატების ონის რაიკომისთან წინასწარი შეთანხმებით.

ჩვენი ტურისტული მარშრუტი საკმარისად გრძელი იყო და თხილამურებით მისი დაძლევა, რა თქმა უნდა, იოლი არ ყოფილა, მაგრამ ჯგუფის წევრები და უზოგავი ვნერგით მიიწვედნენ წინ თოვლსა და ყინვას. ლაშქ-

რობამ 7 დღეს გასტანა. ჩვენ ყველგან ვულთბოლად და სტუმართმოყვარულად გვგვებოდნენ. ონელ სპორტსმენთა და ახალგაზრდობის სურვილია ასეთი საზამთრო ლაშქრობები ტრადიციად იქცეს მომავლისთვის.

**ნ. ლუშაუაშვილი**, (ჩვენი კორ). ონი.

# ფილა-ს დროის ქვეშ...

დასასრული

ნაკრებში სამი ქართველი ფალანგი არის მიწვეული — ლევან თედიაშვილი (ქვემდემე წონა), გიორგი მაკასარაშვილი (მეორე ქვესაშუალო) და გიორგი ყურაშვილი (მეორე საშუალო)... ვფიქრობ, რომ თედიაშვილის ტიტულზე კომენტარი არ სჭირდება. ვიტყვი მხოლოდ, რომ 31 წლის ფალანგი ტრავმით გამოწვეული 3-4 თვის შესვენების შემდეგ, ახლა მთელი დატვირთვით ვარჯიშობს და დიდი სურვილი აქვს წარმატებით დაიცვას ქვეყნის ღირსება თბილისის ტურნირში და მოსკოვის ოლიმპიადებზე. ვფიქრობ, რომ მისი შეხვედრა მოსკოვის 1979 წლისა და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონს, უკრაინელ ილიე მატესთან ამ ტურნირის მშვენიერ იქნება და, ცხადია, მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვემდემე წონაში № 1 საბჭოთა სპორტსმენის ვინაობას, რომელსაც ქვეყნის ღირსების დაცვა მიენდობა XXII ოლიმპიურ თამაშებზე. შეგახსენებთ, რომ თედიაშვილი და მატე მანამდე ორჯერ შეხვედნენ ერთმან-

ეთს ოფიციალურ ტურნირებში და ორივეჯერ გამარჯვება ქართველი ფალანგის მხარეზე იყო, მათ შორის, შარშანწინ თბილისში თედიაშვილის უკანასკნელი გამოსვლის დროს...

გიორგი მაკასარაშვილს, რომ იტყვიან, სპორტული ბიოგრაფია ჯერ კიდევ წინა აქვს. 21 წლის მოკიდავე დიდი ფიზიკური ძალით და კარგი ტექნიკით გამოირჩევა. იმედია, მისგან საუკეთესო ფალანგი დადგება. გიორგიმ კარგად იასპარეზა ხალხთა სპარტაკიადებზე: მან დამაჯერებლად მოუგო მოსკოვის ჩემპიონს — მოლდაველ მარტას, სსრ კავშირის ჩემპიონს — კიეველ პეტრენკოს და ნახევარფინალში გავიდა. აქ ის ოლიმპიურ და მოსკოვის ჩემპიონს — მანჩაყალე აშურალიევს შეხვდა. ჩვენმა მოკიდავემ ქულებით დათმო ორთაბრძოლა გამოუცდლობისა და ზედმეტი ნერვიულობის გამო და საბოლოო ჯამში მეოთხე ადგილზე გავიდა.

რაც შეეხება გიორგი ყურაშვილს, 20 წლის მოკიდავემ უკვე მოასწრო მოსკოვის ჩემპიონის საპატიო ტიტული მოპოვებინა

ახალგაზრდებს შორის. ამ ნიჭიერი ფალანგისგან ბევრს მოველოით, რადგან ძალზე მონდომებულ და სამაგალითო სპორტსმენია. რაც შეეხება თბილისის მომავალ ტურნირს, ყურაშვილი საკმაოდ ძლიერ „კამპანიაში“ გამოდის — აქ იქნებიან მოსკოვის ჩემპიონი ორტუევი (ნაღივი), ოლიმპიური და მოსკოვის ჩემპიონი პროკოპჩუკი (მოსკოვი) და სხვ.

### და ბოლოს, საქართველოს ნაკრების მზადების შესახებ...

მოგეხსენებათ, მასპინძლებს უზიარო გამოხატვის უფლება არა გვაქვს. ვვარჯიშობთ ფალანგთა კლუბში, ყოველდღიურად ორ-სამჯერ. წვრთნისთვის ყველა პირობა გვაქვს შექმნილი და ბიჭებიც დიდი მონდომებით ემზადებიან. დამერწმუნებით, სხვაგვარად გამარჯვებაზე არც შეიძლება ლაპარაკი. კარგი ახალგაზრდობა, კარგი რეზერვი გვყავს და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მოკიდავეები დიდ სარბივზე კვლავ დაიპყრობენ ჩვეულ სიმდიდრეს. ახლა ცალკეული მოკიდავეების შესახებ: უმჯობეს წონაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაცავს ნარიმან ჯაფარო-

## ამერიკელ მოჭიქავები ტურნირითა

„მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადებას ჩვენ ვიწყებთ საბჭოთა კავშირში“, — საყურადღებო კორესპონდენტს მოსკოვში ჩამოსვლისთანავე განუცხადა მონრეალის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა თავისუფალ ჭიდაობაში ს. ძიძიჩმა. ამერიკის გუნდში 12 ათლეტი, რომელთაგან ნახევარი პირველად შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებს. ყველაზე ახალგაზრდაა 20 წლის რ. ლიუსი (62 კგ-მდე), ვეტერანია — 29 წლის ჯ. ჰამფრი (68 კგ-მდე).

გუნდის აწმუს ნაკრები ქ. ორჯონიძის გაემგზავრა. მასპინძელთა ნაკრებში გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონი ს. ანდრევი, მოსკოვის ჩემპიონი ს. კორნილიევი, პ. ორტუევი, ა. ბისულთანოვი და სხვა ტიტულოვანი ათლეტები.

შემდეგ სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში (25-27 იანვარი), 2 დღის მერე აქვე შეხვედრიან საქართველოს ნაკრებს და ბოლოს აასპარეზებენ ტაშვენტში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან.

### ფეხბურთი

დღეს ლესელიძიდან დაბრუნდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი. იქ, საქართველოს სპორტკომიტეტის ოლიმპიურ ბაზაზე, ჩვენმა ფეხბურთელებმა მოაწყვეს წინასასაუბრო სამზადისის 18-დღიანი შეკრება. წინ არის საინტერესო, რთული სეზონი, გუნდის უახლოეს გვეგმაში კი მანამდე, მეტად საყურადღებო ტურნეა მოსკოვის ჩემპიონის ქვეყანაში — არგენტინაში.

ამ დღეებში ლესელიძეში იმყოფებოდა ჩვენი ვახუთის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბოლშაჩოვი, რომელიც ესაუბრა გუნდის უფროსს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს პ. ანანოვიანს:

● ლესელიძეში ჩვენი ფეხბურთელები ჩვეულებრივ მიემგზავრებიან ხოლმე იანვრის დასასრულს ან თებერვლის დასაწყისს, ახლა კი საწვრთნელი შეკრება ადრე დაიწყო — 4 იანვარს. რით იყო ეს გამოწვეული?

— ყველასთვის ცნობილია, თუ როგორი დაძაბული იყო შარშანდელი სეზონი ჩვენი გუნდისთვის. ბოლო მატჩი ჩავატარეთ 25 ნოემბერს და ერთი თვეც არ იყო გასული, კვლავ შევიკრიბეთ დიდი მისი საწვრთნელ ბაზაზე. ორი დღე დაეთმო ფეხბურთელთა საფუძვლიან სამედიცინო შემოწმებას, 22 დღეებზე გუნდი პრაქტიკულად შეუდგა წვრთნას, დავიწყეთ საერთო ფიზიკური მომზადებით სხვადასხვა სახის ვარჯიშებით, მაგრამ არ იყო სამეცადინო დღე, რომლის პროგრამაში არ გვქონოდა ბურთით წვრთნა, ვინაიდან ეს უმთავრესია ფეხბურთელისთვის.

რაც შეეხება ადრეულ გამგზავრებას ლესელიძეში, ეს მოხდა სწორედ იმ მიზეზით, რომ სათანადოდ მოემზადებულნიყავით არგენტინის ტურნესთვის. ფეხბურთელებმა უკვე განვლეს საერთო საწვრთნელი ციკლის გარკვეული ნაწილი, ისინი მეცადინეობდნენ ტანვარჯიშულ დარბაზში, დარბოვნენ, ვარჯიშობდნენ და-

ლის, ამტანობის, სისწრაფის გამოუმუშავებან. ამას გარდა, გვქონდა ორმხრივი თამაშებიც.

● ფეხბურთელთაგან ყველა არის თუ არა მწყობრში, ხომ არ გვაქვს ტრავმირებული?

— ცნობილია, ჯერ კიდევ შარშან რამდენიმეჯერ მიიღო ტრავმა ერთ-ერთმა ჩვენმა წამყვანმა მოთამაშემ ყიფიაძემ. იგი საკმაოდ ხანს მკურნალობდა და მოგვიანებით შეუერთდა ამხანაგებს. მკურნალობდა დარბაზშიც, რომელშიც ჯერ სულ რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწრო. ტრავმა აქვს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრს ცაივას, მაგრამ ეს მხოლოდ გამოჩაკლდა. დანარჩენები მწყობრში არიან და სრული ძალით ემზადებიან სეზონისთვის.

## პრებენსტინაში გაგზავნის წინ

● ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ გუნდში მომხდარი ცვლილებები. ჩამოგვითვალეთ ვინ წავიდა, ვინ მიიღეთ?

— მწვრთნელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა დროულად მოძებნონ ვეტერანების სათანადო ცვლა,



ალბარდონ ისინი დინამოელთა ტრადიციებზე. გუნდში ამჟამად შემოწმებას გადის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებიც ჩვენი აზრით, მოკლე ხანში შეძლებენ ღირსეულად ატარონ დინამოელთა ფორმა. ყველაფერი დამოკიდებულია მათს მონდომებაზე, ენერგიულობაზე. მხედველობაში მყავს ნახევარმცველები ოთარ კორდალიძე, მერაბ ჟორდანიანი, გურამ აჯოგი, რამაზ ცხოვრებაშვილი, მცველები თემურ ება და ნუკრი ხასია, თავდასხმელი კოტე კერესელიძე. ისინი მოვიწვიეთ როგორც ჩვენი მოსამზადებელი ჯგუფებიდან, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან და რაიონიდან. ამჯერად გადავწყვიტეთ არავინ მოგვეწვია ქუთაისის „ტორპედოლან“.


რაც შეეხება გუნდიდან წასულებს, ასეთი მხოლოდ ერთია — ფირფხე კანთელაძე. მან დაამთავრა თავისი გამოხატვა დიდ ფეხბურთში, ბევრი რამ გავკეთა გუნდის კეთილდღეობისთვის.

● დინამოელთა ტურნე არგენტინაში დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის. რა შეგიძლიათ თქვით ამ მგზავრობაზე, მარშრუტზე, ვის შეხვედებით?

კიდევ ორიოდე სიტყვა შემადგენლობის შესახებ. როგორც ცნობილია, თბილისის დინამოელები — გაბელია, ჩივაძე და ჩელებიძე ვარჯიშს გადიოდნენ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში და ლესელიძეში არ იმყოფებოდნენ. ერთხანს გვაკლდა უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაციძე, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა უმადლესი ლივის მწვრთნელთა სემინარზე.

● დინამოელთა ტურნე არგენტინაში დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის. რა შეგიძლიათ თქვით ამ მგზავრობაზე, მარშრუტზე, ვის შეხვედებით?

— ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს გუნდისთვის შეხვედრებს სხვადასხვა სკოლისა და მამართლებების მეტოქეებთან. ასეთი ურთიერთობა კოლოსალურ გამოცდილებას გვძენს, ამდირებს გუნდს პრაქტიკულად და ტექნიკურად. ცნობას არგენტინაში გამგზავრების თაობაზე, ასეთი სისხარულით შეხვედით იმის გამო, რომ ეს ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონია არა მარტო მოზრდილებს, არამედ იუნiorებს შორისაც. დინამოელებს საერთაშორისო მატჩები მოვლით ბუენოს-აირესში, კორდოვაში, მენდოზაში და სხვა ქალაქებში. სამწუხაროდ, ჯერ ვერ გეტყვით კონკრეტულად რომელ გუნდებს შეხვედებით, მაგრამ, ვფიქრობთ, სუსტი მეტოქეები იქ არ იქნებიან. არგენტინაში ისედაც საფეხბურთო



— ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს გუნდისთვის შეხვედრებს სხვადასხვა სკოლისა და მამართლებების მეტოქეებთან. ასეთი ურთიერთობა კოლოსალურ გამოცდილებას გვძენს, ამდირებს გუნდს პრაქტიკულად და ტექნიკურად. ცნობას არგენტინაში გამგზავრების თაობაზე, ასეთი სისხარულით შეხვედით იმის გამო, რომ ეს ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონია არა მარტო მოზრდილებს, არამედ იუნiorებს შორისაც. დინამოელებს საერთაშორისო მატჩები მოვლით ბუენოს-აირესში, კორდოვაში, მენდოზაში და სხვა ქალაქებში. სამწუხაროდ, ჯერ ვერ გეტყვით კონკრეტულად რომელ გუნდებს შეხვედებით, მაგრამ, ვფიქრობთ, სუსტი მეტოქეები იქ არ იქნებიან. არგენტინაში ისედაც საფეხბურთო

კულტი სუფევს, ახლა კი, მსოფლიო ჩემპიონატებზე მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ, იქ ნამდვილი საფეხბურთო ბუმი.

● დაგეგმილი გავთ თუ არა საკონტროლო და ამხანაგური მატჩები სსრ კავშირის თასისა და ჩემპიონატის დაწყებამდე?

— ლესელიძეში უკვე გვექონდა საწვრთნელი შეხვედრა, თებერვლის დასასრულს ვეთამაშებთ სსრ კავშირის თასზე, რომლის ერთ-ერთი ზონა მოეწყობა თბილისში. აპრილის პირველ რიცხვებში კი დაიწყება საკავშირო ჩემპიონატი.

● რა ამოცანები და მიზნები აქვთ დინამოელებს წინამდებარე ოლიმპიურ წელს?

— რა თქმა უნდა, გესურს რაც შეიძლება მეტი მოთამაშე მივაწოდოთ სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს. კოლექტივი იბრძოდება სსრ კავშირის თასისთვის, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობისთვის და, აგრეთვე ყოველმხრივ შეიცვლება წარმატებით ისპარეზოს ევროპულ ვათამაშებაში.



სურათებზე: დინამოელთა წვრთნისა და დასვენების ამხანაგული მომენტები ლესელიძის სპორტულ ბაზაზე. ავტორის ფოტოები.



